F567 ~ 3402

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჭლის ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-11 წელი

№ 9 (169)

მაისი.

1967 წელი



ვახტანგ გორგასალის ძეგლი თბილისში მეტეხთან

საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ტრაულერი „შოთა გამცემლიძე“

რუსეთის მინისტრთა საბჭომ ქალაქ კალინინგრადის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სურვილის შესაბამისად დაადგინა მიენიჭოს საბჭოთა კავშირის გმირის **შოთა გამცემლიძის** სახელი თევზსაჭერ გემს, რომელიც შენდება თევზის მრეწველობის კალინინგრადის საწარმოო სამმართველოსათვის.

შეიტყო რა ეს, ჩვენმა კორესპონდენტმა უწინარეს ყოვლისა ინახულა და მოულოცა ეს ამბავი გმირის დედას, რესპუბლიკის დამსახურებულ მასწავლებელს, ამჟამად პენსიონერს ნინო ალექსანდრეს ასულ გამცემლიძეს.

დიახ. ნაადრევად მოხუცებული დედა შეეჩვია სასიამოვნო ამბებს იმის შესახებ, თუ როგორ ახსოვთ მისი ერთადერთი შვილი, რომლის სახელი თავისი მოვალეობისადმი ერთგულების, სამშობლოსათვის თავდადების სიმბოლო გახდა. ახლა ჩვენმა ცნობამ იგი განსაკუთრებით ააღელვა.

ფრონტზე შოთამ თავი ისახელა. რამდენიმე გრანატით ხელში იგი ქვეშ შეუვარდა მტრის ტანკს და მტრის კონტრიერიში ჩაფუშა. მალე უველამ გაიგო ქართველი მეომრის შოთა გამცემლიძის საგმირო საქმე. მის სახელს არასოდეს არ დაივიწყებენ მადლიერი შთამომავალნი.

ჩვენს ქვეყანას ახსოვს გმირი. მისი სახელი ეწოდა სკოლას კალინინგრადში, თბილისის ერთ-ერთ რაიონში მის სახელს ატარებს ქუჩა, გმირის სახელი მიენიჭა პიონერთა რაზმებს. პიონერები სიყვარულით რწყავენ ყვავილებს მამაცი მეომრის საფლავზე. ნინო ალექსანდრეს ასულს ასობით წერილი მოსდის საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან. მაგრამ განსაკუთრებით აღელვებს მილოცვები, რომლებიც ყოველ წელს გამარჯვების დღის წინ მოსდის მისი შვილის ამხანაგებისაგან, იმათგან, ვისთანაც ერთად მსახურობდა.

გამარჯვების ზეიმი

ოცდაორი წლის წინათ საბჭოთა არმიამ კაცობრიობის უბოროტესი მტერი — გერმანიის ფაშიზმი მისსავე ბუნაგში გაანადგურა. მსოფლიო შესძრა სალუტმა: „მშვიდობა, გამარჯვება!“ ზეიმობდა ხალხი —გმირი ხალხი, სიხარულისაგან ტიროდა, ცრემლებს აფრქვევდა მილიონთა საფლავებს... უდგამდა ძეგლებს, ქმნიდა სიმღერებს გმირებზე, გულით ატარებდა, უკვდავყოფდა მათს სახელებს.

გმირები არ კვდებიან...

1965 წელს ჩვენმა ქვეყანამ ფაშიზმზე გამარჯვების ოცი წლისთავი იზეიმა. გამარჯვების ეს უდიდესი დღესასწაული ისტორიაში შევა როგორც მსოფლიო მშვიდობის ძალების დიდი ზეიმი.

ზეიმობდა ხალხი — გმირი ხალხი.

საქართველოს სოფლებსა და რაიონებში აღიმართა სამამულო ომში დაღუპულთა ობელისკები, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში შეიქმნა უამრავი სტენდები, რომლებიც გვაცნობდნენ იმათ სახელებს, რომლებმაც თავი გასწირეს მომავალი თაობის ბედნიერებისათვის.

ყოველწლიურად ახალ-ახალი სახელები ემატება ქართველ გმირთა გალერიას... მაგრამ რამდენი უცნობი გმირია ჩაფლული რუსეთის და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მიწაში? ვინ მოსთვლის, რამდენი ჭაბუკის სხეული ჩაიკრა ზღვებისა და მდინარეების ტალღებმა? მათი სახელები უცნობია ჩვენი თაობისათვის; მომავალი თაობები კი ალბათ მრავალ მათგანს გაიცნობენ.

ქართველმა კაცმა იცის, რომ ომი ბევრისათვის ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. უამრავი ქართველი ოჯახი მოელის უგზოუკვლოდ დაკარგულ შვილს. ცრემლმორეული გასცქერიან დედები და ცოლები, შვილები და მამები წარსული ომის გზას და ამბობენ: იქნებ დღეს მაინც გამოჩნდეს ჩემი ნიკა, გიორგი, შოთა, კაკო... სად არიან მათი შვილები, ქმრები, მამები? მრავალი მათგანი ის უსახელო გმირია, რომელთა ვაჟკაცობის ამბები შავმა მიწამ ჩანთქა, მაგრამ მოლოდინი, მათი ჩამოსვლის იმედი, სუფრასთან მომლოდინე ცარიელი სკამი, სავსე ჭიქა, გარნა უველაფერი ეს არ არის ის უკვდავება?!.

განა ისინი არ ნერგავენ ოჯახში იმედს? ისინი ხომ იმედის ნათელს წარმოადგენენ.

განა მკვდარია ის, ვინც თუნდაც ერთი ადამიანის გულში ცოცხლობს?

გმირები როდი კვდებიან. ისინი უხილავი ძაფებით არიან დაკავშირებული ჩვენს გულთან.

განა შეიძლება ისინი მკვდრებად ჩავთვალოთ?

უცნობი ჯარისკაცის საფლავზე გამარჯვების დღეს მარად უქრობი კაშკაშა კოცონი ავიზგიზდა.

ვინ არის ის უცნობი გმირი, რომელმაც მილიონების გულში ჰპოვა ბინა? იქნებ ის არის ჩვენი ნიკა, გიორგი, შოთა, რომლებიც უგზოუკვლოდ დაკარგული ჰგონიათ ოჯახებს.

ვის შეუძლია დაგვაჯეროს, რომ კრემლის კედელთან დაკრძალული უცნობი ჯარისკაცი ქართველი არ იყო?

დიახ, იგი დაბრუნდა იმ უგზოუკვლო სამყაროდან, მოვიდა, ფართოდ შემოაღო კარი და თქვა: გმირთა დედებო, ამიერიდან მე თქვენი შვილი ვარ, დაკარგული დაგიბრუნდით.

...საფლავზე ცოცხალი ყვავილები აწყვია. განმარტოებით დგას პატარა გოგონა, რომელსაც ხელში მიხაკები უჭირავს. იგი პაწაწა ხელებით აწყობს მიხაკებს გმირის საფლავზე...

გამარჯვების დღეს ზეიმობენ ხალხები და იგონებენ გმირებს!

მშვიდობა!


მაისი არის გამარჯვების თვე! მაისი არის თვე მშვიდობის, მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობის!

ზეიმობს ხალხი — გმირი ხალხი.

ქართველი გმირთა სადიდებელს ამბობს.

საჭირბოროტოსი





გთელმა ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობისა და ძმობის დღე — პირველი მაისი. რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში — რუსთაველის პროსპექტზე გაიმართა მშრომელთა წარმომადგენლებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის დიდი დემონსტრაცია. დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქებში — სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში, გორში, თელავში და სხვ. დემონსტრაციის მონაწილეებს მოჰქონდათ ლოზუნგები და ტრანსპარანტები, რომელთა მთავარი თემა იყო „ხალხთა შორის მშვიდობა, ძმობა, მეგობრობა, თანასწორობა, ერთობა!“.


სურათებზე: თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობა რუსთაველის პროსპექტზე სადღესასწაულო დემონსტრაციის დროს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ირაკლი აბაშიძე

პოეტი-აკადემიკოსი.

ვითა ეგრძანა ვახტანგს



ორი ძვირფასი საჩუქარი მიიღო ჩვენმა სამშობლომ, ჩვენმა რესპუბლიკამ სულ რამდენიმე თვის მანძილზე. გასულ წელს ჩვენ საყოველთაო, ჯერ უნახავი ზეიმით აღვნიშნეთ უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ გენიალური შემოქმედის შოთა რუსთაველის იუბილე. შარშან საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში აღიმართა ჩვენი დიდი წინაპრის დიდებული ძეგლი. იმ იუბილეს დღეებში საქართველომ მთელ მსოფლიოს ამცნო მისი უმდიდრესი კულტურული ტრადიციების ამბავი, მთელ მსოფლიოს ამცნო ამბავი მისი საუკუნეობრივი ერთგულებისა ჰუმანიზმის, კაცთმოყვარეობის უმაღლესი იდეალებისადმი: გააგებინა ამბავი იმის შესახებ, რომ, მრავალსაუკუნოვანი ეროვნული ტრადიციების მიუხედავად, ჩვენ ვიდექით კაცობრიობის საოცნებო იდეალებისათვის მებრძოლთა რიგებში, იმის ღრმა რწმენით, რომ მხოლოდ კეთილის არსებაა გრძელი, რომ ბოროტებას არსებობა არ გააჩნია და ამიტომაც იგი მოკლეა და დროებითი.

რუსთაველის იუბილეს ახლა კიდევ ახალი სიხარული დაემატა: დღეს, სწორედ 1967 წელს, ოქტომბრის დიდი რევოლუციის 50 წლისთავის საყოველთაო ზეიმის წინ, ჩვენი დედაქალაქი, ჩვენი ახალი, ბაღებში ჩამჯდარი, მადლიერი თბილისი ძეგლს უდგამს მის პირველ დამაარსებელს, დიდ ქართველ სახელმწიფო მოღვაწეს ვახტანგ გორგასალს.

დაე, ნურავის და ნურსად გაუკვირდება, რომ ეს დიდებული ძეგლი თბილისის მშრომელებმა აღმართეს აქ სწორედ ოქტომბრის 50 წლისთავზე, როგორც რევოლუციის დიად მონაპოვართა სიმბოლური გამოხატულება, ხალხთა წარსული მემკვიდრეობის დაფასების სიმბოლური გამოხატულება, ლენინის ეროვნული მოძღვრების სიმბოლური გამოხატულება.

ისიც გავიხსენოთ, რომ ეს ძეგლი აღიმართა სწორედ იქ, ძველ მეტეხზე. სადაც მთელი გასული საუკუნის მანძილზე იდგა რუსეთის ცარიზმის ერთი ყველაზე შავბნელი ციხეთაგანი მთელი იმპერიის ტერიტორიაზე, სადაც მძიმე ბორკილქვეშ გმინავდა ყოველი მოწინავე, პროგრესული, რევოლუციური აზრი. ამდენად, ამ ძეგლის აღმართვა სწორედ მეტეხის თავზე ერთი ყველაზე უფრო რელიეფური, თვალსაჩინო გამოხატვაა ქართველი ხალხის საუკუნოვანი ოცნების გამარჯვებისა, თვალსაჩინო გამოხატვაა დიდი ოქტომბრის მნიშვნელობისა რუსეთის ყოფილ იმპერიაში შემავალ ხალხების საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ეს ადგილი, სადაც დღეს ჩვენ შევიკრიბეთ, მტკვრის კალაპოტის ყველაზე ვიწრო ადგილი მისი მდინარების მთელ მანძილზე, ეს ხელისგულისოდენა ადგილი, არის პირველი კერა, პირველი საძირკველი არა მარტო ჩვენი თბილისისა, საიდანაც მისი ისტორია იწყება, არამედ პირველი კერაც, პირველი საძირკველიც საქართველოს ნამდვილი სახელმწიფოებრიობისა. ამ ადგილმა საქართველოს ისტორიაში შეასრულა ის როლი, რაც ძველი რომის ისტორიაში ასევე ხელისგულისოდენა ადგილმა — პალატინის მთამ შეასრულა. ამ ადგილიდან იწყება საქართველოს სახელმწიფოს ნამდვილი, დიდი ისტორია. ამ ადგილიდან მოვსინჯეთ ჩვენ ჩვენი პირველი ნაბიჯები ცივილიზებული კაცობრიობის ისტორიისაკენ.

ამ ადგილზე, სწორედ ამ ადგილზე დგას დღეიდან ძეგლი საქართველოს დედაქალაქის დამაარსებლის, არსებითად ერთიანი საქართველოს პირველი მეთაურისა. ამდენად, ეს ძეგლი არის არა მარტო თბილისის მადლიერ მოქალაქეთა ღრმა პატივისცემის გამოხატულება ვახტანგ გორგასალისადმი, არამედ ეს ძეგლი არის საქართველოს ხელახლა აღორძინებული, აღდგენილი სახელმწიფოებრიობის დიდებული სიმბოლოც.

მაშ, ვინ არის ვახტანგ გორგასალი საქართველოს ისტორიაში? ვის დაუდგეს დღეს ძეგლი თბილისის მშრომელებმა?

ვახტანგ გორგასლის მიმართ შეიძლება გავიმეოროთ ჩვენი დიდი ილიას სიტყვები, თქმული დავით აღმაშენებელზე: „თუ ჩვენ ჩვენს ბინაზედ ვართ, ეს, იქნება, იმისი ღვაწლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს“.

ვახტანგ გორგასალი ერთიანი საქართველოს ის პირველი მეთაურია, რომელიც ჩვენს ძველ ისტორიაში პირველად აღრიანი შუასაუკუნეების ბნელეთში ხმლით იკაფავდა უმძიმეს გზას დასავლეთის ცივილიზაციისაკენ; გულის შემძვრელია სიკვდილის წინ თქმული მისი უკანასკნელი სიტყვები, რომლებიც იწყება მიმართვით: „თქვენ, მკვიდრნო ქართლოსანო...“ სიტყვები თქმული იმის გამო, თუ საით უნდა წარმართულიყო საქართველოს მომავალ მეთაურთა გულისყური. იგი დაეცა მაშინდელი აღმოსავლეთის ბნელეთის წინააღმდეგ ბრძოლაში იმ მიზნისათვის, რომ თავი დაეღწია ბარბაროსთა გარემოცვისაგან და „გაეჭრა ფანჯარა ევროპისაკენ“. საუკუნეები დასჭირდა ქართველ ხალხს ამ მისი იდეალის ხორცშესხმისათვის, ვიდრე ბოლოს ამ ცივილიზაციას დაუკავშირდებოდა.

ვახტანგ გორგასალი ძველი საქართველოს ის დიდი სახელმწიფო მოღვაწეა, რომელიც უდიდეს მნიშვნელობას აძლევდა ქართველ ხალხში ახალი, მაშინ უაღრესად პროგრესული რწმენის განმტკიცების საქმეს, ახალი რწმენისა, რომელმაც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან ერთიანად მოიცვა ნამდვილი ცივილიზაციის კლასიკური ქვეყნები. ამ რწმენის განმტკიცებითაც ფიქრობდა იგი თავისი მთავარი იდეალის — ცივილიზაციის, კულტურის დიდ გზაზე გასვლის სანუკვარი ოცნების ხორცშესხმას.

ვახტანგ გორგასალი ძველი საქართველოს ის დიდი სახელმწიფო მოღვაწეა, რომელიც ჩვენს ძველ მატიანეში, საქართველოს ისტორიაში აღნიშნულია, როგორც განსახიერება ქვეყნის მშენებლობის უმაღლესი სახელმწიფოებრივი ნიჭიერებისა. მისი დროინდელი ჩვენი ისტორია სავსეა ცნობებით ამის შესახებ. მან: „შექმნა კარი ოვსეთისანი, რომელთა ჩვენ დარიალანისად უწოდთ“ მან „აღაშენა მოციქულთა სვეტი-ცხოველი...“ მან უპატრონა „უჯარმის კარსა, რომელი ვახტანგს აღეშენა...“ „ჰერემს, მისსავე აღშენებულსა...“ „მუნ ქმნა ქალაქი... რომელი იგი მანვე აღაშენა..“ „და თვით ვახტანგ დაჯდა უჯარმოს და აღაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა...“ ხოლო პალესტინაში აგერ სულ ოცი წლის წინ გაქრა სოფელი მალხა, რომელიც გადმოცემით თავისი, ქართული გარნიზონისთვის შექმნა გორგასალმა ჯვარის მონასტრის დასაცავად.

ხოლო თბილისი?

ხოლო თბილისი, რომლის საბოლოო აღშენება მან ვეღარ მოასწრო, გადასცა თავის ძეს, რომელმაც „განასრულნა ზღუდენი თბილისისნი და, ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ“.

დიახაც ღირსეულს, სწორედ ღირსეულ წინაპარს დაუდგა ძეგლი დღეს მადლიერმა თბილისმა.

თბილისელებო!

მოგილოცავთ ამ ძვირფას საჩუქარს. ვულოცავ წარმატებას ამ დიდებული ძეგლის შემქმნელს, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატს, მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელს.

მოგილოცავთ დღევანდელ ზეიმს, ძვირფასო ამხანაგებო!

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს ჩვენი დიდი ქვეყნის ხალხთა ძმურ ოჯახში!

სიტყვა, წარმოთქმული ვახტანგ გორგასალის ძეგლის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო მიტინგზე 1967 წლის 25 აპრილს.

საკავშირო ბიბლიოთეკა

ᲨᲐᲨᲮᲐᲜᲘᲗ ᲝᲛᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲖᲔ

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘ

ᲘᲥᲜᲔᲑ შეხვედრიხართ ქალაქში, თუ არა ალბათ კიდევ შეხვდებით. ნიკოლოზ სოლომონის-ძე გიორგაძე თბილისის ტაქსმოტორის მეორე კანტორის მძღოლია.

ნ. გიორგაძე 57 წლისაა, მაგრამ უფრო დიდი ხნის გეგონებათ, რადგან ბევრი განსაცდელი შეხვედრია ცხოვრებაში, რადგან მის მეხსიერებაში ჯერაც არ გამქრალა შორეული წლების ამბები: ფაშისტური დილეგები, გერმანიაში მოჯამაგირეობა, ბრძოლები იტალიის წინააღმდეგობის რიგებში. სხეულზე დღესაც ემჩნევა ღრმა იარები — ომის ნაკვალევი.

ეს მოზდოკთან მოხდა 1942 წლის აგვისტოში. მძიმედ დაჭრილი გიორგაძე ტყვედ წაიყვანეს. ოჯახს შეატყობინეს, ბრძოლაში დაიღუპაო.

რვა თვეს საწოლზე იყო მიჯაჭვული ნ. გიორგაძე. გერმანელ ექიმებს, რომლებიც მას ლვოვის ჰოსპიტალში მკურნალობდნენ, იმედი ჰქონდათ, რომ გამოჯანმრთელების შემდეგ გერმანიის არმიას შეუერთდებოდა. მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. მხოლოდ შემთხვევით მოხდა, რომ ნიკოლოზ გიორგაძე ვერ შეხვდა ლვოველ პარტიზანებს, რომლებთანაც მოასწრო კავშირის დამყარება: ჰოსპიტალიდან პოლონეთში გადაიყვანეს. აქ კი ბედმა გაუღიმა — ტყვეობიდან გაიქცა. დღისით იმალებოდა, ღამ-ღამობით მიდიოდა წინ.

რამდენიმე დღის შემდეგ გიორგაძე ვარშავის ერთ-ერთ გარეუბანში აღმოჩნდა, მაგრამ ქალაქში შესვლა ვერ მოასწრო, სს-ელთა რაზმს ჩაუვარდა ხელში. გერმანელებს ეგონათ, რომ ინგლისელი პარაშუტისტი იყო, რომელიც ზურგში დივერსიისათვის გადმოსხეს. მხეცურად აწამეს. დაკითხვაზე ვიღაც დიდი უფროსი მოვიდა. როგორც ჩანს, მიხვდა, რომ არ გამოგზავნიდნენ პარაშუტისტს, რომელსაც დასახიჩრებული ჰქონდა ფეხი და ბარძაყი. საბჭოთა მებრძოლი ბერლინში გაგზავნეს მუშათა ბატალიონში.

— მოგვიანებით, როცა იტალია თითქმის დანებდა მოკავშირეებს, გადაგვიყვანეს ქალაქ კივასოში, 17 კილომეტრზე ტორინოდან, — განაგრძო ამბავი ნ. გიორგაძემ. — პატარა ბიჭუნა კარდო, რომელიც საკმაოდ თავისუფლად ლაპარაკობდა რუსულს (მამამისი ქერჩიდან იყო იტალიაში წასული), დაგვეხმარა მე და სერგი ნიკოლოზის-ძე ვარვარკინს, რომელიც ბერლინში გავიცანი და დღემდე ჩემი მეგობარია, პარტიზანებს დავკავშირებოდით...

ნიკოლოზ გიორგაძე გახდა ჰარიბალდის მე-80 ბრიგადის მებრძოლი. რაზმის მეთაურის ჯოვანი ბურლანდოს პირადი მძღოლი.

1946 წელს პარტიზანები, რომლებიც წინააღმდეგობის რიგებში იბრძოდნენ, სამშობლოში დაბრუნდნენ. ნიკოლოზ გიორგაძე დაუბრუნდა ოჯახს, რომელსაც დიდი ხნის დაღუპული ეგონა.

...მას შემდეგ 20 წელზე მეტი ხანი გავიდა. დაეზარდნენ ქალიშვილები, უფროსი ელეონორა — კონსერვატორიის სტუდენტია ვოკალის კლასით, უმცროსი ნინო — უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობს.

გასული წლის შემოდგომაზე საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის დელეგაციის შემადგენლობაში ნიკოლოზ სოლომონის-ძე გიორგაძე იტალიაში იყო. აქ მას მკერდი დაუმშვენა კიდევ ერთმა ჯილდომ — ჰარიბალდის ვარსკვლავმა, რომელიც მას გადასცა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ლუიჯი ლონგომ. ტორინოელებმა კი ქართველ სტუმარს გადასცეს ქალაქის სიმბოლური გასაღები და ტორინოს საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

მიმდინარე წლის ზაფხულში საქართველოს ეწვევიან იტალიელი პარტიზანები. ნ. გიორგაძის სტუმარი იქნება ბრიგადის ყოფილი მეთაური, დღეს კი კომუნისტი სენატორი ჯოვანი ბურლანდო.

მებრძოლი ამხანაგების გულში მარად ცოცხალია წარსული დღეების ხსოვნა.

Ი. ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲐᲫᲔ.

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲙᲝᲞᲚᲔᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ სკოპლეში გაფრინდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი შ. ნაფეტვარიძე.

შ. ნაფეტვარიძე ავტორია საცხოვრებელ და ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე სეისმური ზემოქმედების გაანგარიშების ახალი თეორიისა. მან შეიმუშავა ორიგინალური მეთოდიკა საცხოვრებელ შენობათა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა (კაშხალთა) მსხვილი მოდელების გამოცდისა განსაკუთრებულ სეისმურ პლატფორმაზე — მიწისძვრის იმიტატორზე.

ქართველი სპეციალისტი იუგოსლავ კოლეგებს დახმარებას გაუწევს სეისმომედეგ ნაგებობათა დაპროექტებასა და აშენებაში.

იუგოსლავი მეცნიერები და მშენებლები, განუცხადა გაფრენის წინ შ. ნაფეტვარიძემ ჩვენს კორესპონდენტს, ამ უკანასკნელ წლებში აწარმოებენ გამოკვლევასა და აშენებენ სეისმომედეგ ნაგებობებს თანამედროვე მეცნიერულ დონეზე. მათ მჭიდრო კონტაქტი აქვთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტთან.


ᲛᲝᲬᲘᲬᲔᲑᲘᲗ ინახავენ დიდი სამამულო ომის დროს სამშობლოსათვის ბრძოლებში დაღუპულ გმირთა ხსოვნას ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესის მცხოვრებნი. მარტო ამ სოფლიდან წასულმა 195 მამაცმა მეომარმა შესწირა სიცოცხლე სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

ამას წინათ ლესელებმა ძეგლი აუგეს თავიანთ სახელოვან თანასოფლელებს. ლოპოტის მბზინავი მარმარილოსაგან ნაგებ მხატვრულად გაფორმებულ კედელზე აღბეჭდილია სამშობლოსათვის ბრძოლებში დაღუპული ყველა ლესელი მამაცი მეომრის სახელი.

კედელზე მსხვილი ასოებით გამოყვანილია სიტყვები: „სამარადისო დიდება გმირებს!"

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: სამშობლოსათვის ბრძოლებში დაცემულ გმირთა ძეგლი ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლესაში.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა.



ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ

ᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲐᲚᲔᲕᲖᲔ




ᲐᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ მინახიხარ შენ, შოთა ღვინჯილიავ. შენც წარმოდგენა არა გაქვს ჩემზე, თუ ვინ ვარ მე. შენ რომ წახვედი, მაშინ მე მხოლოდ აკვნის ჩვილი ვიყავი და ახლა, რომ შემხვდე, ბუნებრივია ვერ მიცნობ. თუმცა, ესეც არ იყოს, სად შენ და სად მე — მე ჯვარელი ვარ, შენ კი ფუქელი, ახლა მიქავას რომ ეძახიან წალენჯიხის რაიონში. შენ სქურჩა და წკვიბლალი გიმღეროდა ნანას, მე კიდევ მაგანის დუდუნმა ამიდგა ფეხი. შენ რომ დაიბადე, მაშინ დიადი ოქტომბერი არსებობის მხოლოდ ორ წელს ითვლიდა. ხოლო ამ ქვეყანაზე ჩემი თვალის ახელიდან ორი წლის შემდეგ შენ და შენისთანები ათასობით, სიკვდილთან შესარკინებლად გაემართეთ. რომ სამშობლოს სიყვარულში შეჯიბრებოდით ერთმანეთს. თქვენ შორის იყო მამაჩემიც...

მე არ მიცნობდი შენ და შენც წარმოდგენა არა გაქვს ჩემზე. მაგრამ შენი სევდიანი თვალები მიცქერიან ამ სურათიდან, რომელიც ახლა წინ მიდევს, და მინდა მოგწერო წერილი. იქნებ გათქმევინო რამე, იქნებ მომიყვე, სად დაიკარგნენ ბიჭები, რომლებშიც მამაჩემიც ერია...

აგერ უკვე ოცდაექვსმა წელიწადმა მიიხურა კარი შენ რომ არა ჩანხარ, აგერ უკვე ოცდამეექვსე წელიწადია შენს ოჯახში, შენმა მშობლებმა იასონ და ლოლია ღვინჯილიებმა, შენმა ძმებმა ალიოშამ და ოლიფანტემ მიიღეს შენგან უკანასკნელი ბარათი 1941-ის 20 ივნისს. წერილის მიღებიდან ორი დღის შემდეგ საშინელება დატრიალდა ქვეყნად, აზვირთდა ცხოვრება, დადგა ყოფნა-არყოფნის საკითხი და ამ ბობოქარმა ზღვამ შთანთქა მილიონები. რუსეთის მიწაზე ახლაც დგანან ნატყვიარი, დაჭრილი ხეები; ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში, ყოველ სოფელში და ოჯახში მომლოდინე, ცრემლებით სავსე თვალები იხედებიან

მაღლი დიდი ხელოვნებისა



ქართულ თეატრს ჰყავს თავისი გენია სანდრო ახმეტელი. მისი მიზანია შექმნას „თეატრი რომელიც ერთ-ერთი საბჭოთა ერის სულიერ ცხოვრებას გამოსახავს". იგი ხაზს უსვამს ეროვნულ სულის შენარჩუნების აუცილებლობას.

ქართული თეატრის უძველეს მასალას ახმეტელი იყენებს არა უშუალოდ, არამედ შორიდან მოვლით, რადგანაც მისი დადგმები რევოლუციის მიერ წარმოშობილ იდეებს ანსახიერებენ. ერთი და იგივე არტისტები, რომლებიც ასე სერიოზულად და გატაცებით გადმოგვცემენ ზღაპარს „ლამარაზე" ეს პოეტები არა მეოცნებენი, ლავრენევის „რღვევაში" გვიჩვენებენ ოჯახურსა და სახელმწიფოებრივ ყოფაცხოვრების დაშლას კერენსკის დროს და წითლების აჯანყებას კრონშტატში. ამ დრამაში არის სცენა, რომელიც თავისი თეატრალური ეფექტით მეიერხოლდის დადგმებს აჭარბებს.

„ლამარა" მე მომეჩვენა სრულიად არაჩვეულებრივ წარმოდგენად. მუსიკა, ცეკვა, მსახიობის შემოქმედება გადახლართულია ცოცხალ ჰარმონიაში სცენის ფონზე, რომელიც წარმოადგენს ერთსადა იმავე დროს მხატვრობასაც და გაბედულ არქიტექტურასაც. სპექტაკლი, ეს იყო ამაღელვებელი სიმფონია, რომელშიაც ბგერა და ფონი ერთნაირად დიდმნიშვნელოვანია, სხვანაირად, რომ ვთქვათ, რეჟისორს გამოუყენებია მთელი ხელოვნება, რომ შეექმნა სინთეტიური თეატრი.

ჰედლი ფლანაგანი,

ნიუ-იორკის ექსპერიმენტალური თეატრის დირექტორი.

მე დიდი სიხარული განვიცადე „ლამარას" წარმოდგენაზე. სიხარული განვიცადე არა მარტო იმიტომ, რომ არტისტები დიდი ოსტატობით თამაშობენ, არამედ იმიტომაც, რომ მასში ქართული სული შევიცანი. აი, ჩვენთა და მაშასადამე ძველი კულტურის ნამდვილი აღდგენა, რაც პატივს სდებს ბოლშევიკურ პარტიას, რომელიც ყველაფერს ახალისებს და ნაციონალურ კულტურას ავრცელებს.

მ. კაშენი,

პარიზი.

მადლობა რუსთაველის თეატრს სიცოცხლით სავსე და უმშვენიერესი სპექტაკლებისათვის, რომელთა მსგავსი მე არასდროს არ მინახავს.

ნურდალ გრიგი,

ნორვეგია.

ძვირფასო ძმაო ახმეტელო!

თქვენი თეატრი და მისი იდეა — არის თეატრი სიცოცხლის, მდიდარი მღელვარე გრძნობებით.

გულწრფელი სალამით.

ოლივერ საილორი.

ჩემთვის, როგორც არტისტისათვის თქვენი თეატრი წარმოადგენს ფერისა და შემოქმედების შედევრს, რომლებიც ცხოვრებაში უეცრად ჩნდებიან. თქვენი აქტიორები, გმირები და გმირი ქალები, რომლებიც ჩვენს უმაღლეს ოცნებას ესიტყვებიან — ჩვენში იწვევენ დიდების წარმტაცსა და მღელვარე გრძნობებს. რუსთაველის თეატრი, რომელსაც ახმეტელი მეთაურობს გვაოცებს თავისი მაღალი სცენური კულტურით. მაყურებელს ხიბლავს სპექტაკლები, რომლებსაც მე სიმფონიურს ვუწოდებ.

ა. კენგსი,

ნიუ-იორკი.

ვისაც წილად ხვდა ბედნიერება ყოფილიყო სამი წლის წინათ მოსკოვში თეატრალურ ოლიმპიადაზე, მას ახსოვს სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით არსებული რუსთაველის თეატრის მიერ მოხდენილი სენსაცია. სამი წლის წინათ მე ვწერდი, რომ არც ერთ სცენაზე არ მინახავს ასეთი შემოქმედებითი სისავსე დაწყებული ორკესტრიდან კულისებამდე და იატაკიდან ჭერამდე... ეს განცხადება რჩება ახლაც ძალაში. ეს თეატრი, განსაკუთრებული მნიშვნელობის თეატრიაო.

მე „ლამარას" გარდა ვნახე „ანზორიც". ამ სპექტაკლის მესაზე აქტი თავისი დრამატიზმით და არქიტექტონიკით ისეთს სიმაღლეს აღწევს, როგორიც მსოფლიოს სცენაზე არ მინახავს. მე ატტაცებული ვარ. ჩემი საუკეთესო თეატრალური შთაბეჭდილებები მოსკოვში რუსთაველის თეატრია. ეს თეატრი უნდა ნახონ საზღვარგარეთ. უნდა შეისწავლოთ ქართული თეატრის განსაკუთრებული შემოქმედება, რომლითაც დღეს ჩვენ თავს ვერძნობდით ბედნიერ მაყურებლად".

ანა ლუიზა სტრონგი,

ამერიკის შეერთებული შტატები.

ღრმად პატივცემულო ალექსანდრე გაბილის-ძევ!

უნდა გვაპატიოთ, თუ ვბედავთ და გაწუხებთ ჩვენი წერილით. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ იმ იმედით ვცხოვრობდით, რომ მოგვიგონებდით და ისურვებდით დაგვენიშნათ ახალი და თქვენთვის უფროო მოხერხებული დრო ჩვენს თეატრში სამუშაოდ. მით უმეტეს, რომ თქვენ კარგად იცით, თუ როგორი დაძაბული ინტერესით ელოდება ჩვენი თეატრის კოლექტივი თქვენს მუშაობას ჩვენთან.

მოგესალმებით პატივისცემითა და ამხანაგური გრძნობით.

ხ. მიხოელსი,

სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

* * *

სურათზე: მარცხნიდან — სანდრო ახმეტელი, ლეს კურბასი (უკრაინელი რეჟისორი) და მხატვარი ირაკლი გამრეკელი, 1930 წელი. (ქ. ხარკოვი).

ჰიშკრისაკენ. აღმართულან თავდახრილი მგლოვიარე მეომრების ქანდაკებები, რომლებიც უთვალავ ძმათა სასაფლაოებს აურეოლებენ თავიანთი მამაკაცური მწუხარებით. სტალინგრადში და მოსკოვში, ლენინგრადში და ოდესაში, კიევში და სევასტოპოლში გმირთა დიდების ძეგლები ინახავენ დიდ საიდუმლოებას — ვინ, ვინ განისვენებს მათს მიწაზე?

სავსეა ეს მიწა უცნობ მეომართა უცნობი სახელვებით!..

მარუხთან მწარე თესლად დათესილა ხამშობლისათვის მებრძოლ ლომგულთა ძვლები.

რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის მიწაზე იბრძოდნენ ჯვარელი თუ ფუქელი, მესტიელი თუ თბილისელი ვაჟკაცები. იბრძოდნენ, რომ დაეცვათ მამა-პაპათა სისხლით მორწყული მიწა, რომ დაეცვათ საბჭოთა ქვეყანა, ჩვენი სამშობლო.

...და სისხლს სისხლი აზიარეს დიდების ძეგლად.

...ოცდაექვსი წელია მას შემდეგ... ოცდაექვსი წელი...

იცი, როგორ იცვალა სახე შენმა სოფელმა ამ ხნის განმავლობაში? არა, ვერ წარმოიდგენ! ნაომარმა ქვეყანამ ჭრილობები მოიშუშა. კვლავ დადგა ჭანმჯაგარ მუხლებზე, გაიმართა, გაიშალა და მსოფლიო გააოცა თავისი მიღწევებით. ფუქიც, შენი პატარა ფუქიც მოიართო და მოიკაზმა, გაკეკლუცდა, გამშვენდა, ფერი იცვალა.

გახსოვს ალბათ ბელერის მიდამოები, სადაც შენ ხელმძღვანელობდი ჩაის თესვას. სწორედ იმ პლანტაციებიდან არის მიღებული ასეთი დოვლათი, შენი მარჯვენის ნაღვაწით კმაყოფილია სოფელი და ამიტომ ლოცავენ დღეს შენს მარჯვენას კოლმეურნეები.

შენ ფუქის კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლა დაამთავრე. ახლა აქ საშუალო სკოლაც არის და რვაწლიანიც. ერთ წერილში სწერდი შინ დარჩენილ მამას: „ცხენი არ გამიყიდოთ, მეზობლებს გამოადგებათ". ო, ჩემო ძმაო, რომ იცოდე როგორ გადასხვაფერდა ცხოვრება — ახლა ცხენები თითქმის აღარ არიან, შენი მეზობლები „ვოლგებით" დაჰქრიან და ამ ცხოვრების სიკეთით ტკბებიან.

შენს მეორე წერილში წავიკითხე, ოჯახიდან რაც წილი მერგება, გაყიდეთ და ალიოშას ასწავლეთო (შენს უმცროს ძმაზე იწერებოდი). შენი წილი და შენი სახლი არავის გაუყიდია, ანდა რა გაუჭირდებოდა შენს ოჯახს ასეთი? ალიოშამ კი მაინც დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი და ჯერ მასწავლებლად მუშაობდა მშობლიურ სოფელში, შემდეგ განათლების განყოფილებაში, იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარეც, ახლა მეფრინველეობის ფერმის საბჭოს თავმჯდომარეა და, პირფერობაში ნუ ჩამომართმევ, თუ ვტყუი, კარგი თავმჯდომარეც.

შენი ძველი ოჯახი სჭურჩახა და წკვიბლალთან კვლავ თვალცრემლიანი მოგელოს. შენ მოგელიან ძმები, ძმისშვილები, რძლები, შენი წიგნები და წერილები...

...შენზე ფიქრებმა გადაიყოლეს დედა... შენზე დაღვრილმა ცრემლებმა წაართვეს მას ჯანი და ღონე და იცოდე... მან უკვე დაამთავრა ლოდინი!

...მამამაც ვერ გაუძლო მწუხარებას, ბიჭო! წაიქცა ის ბერძუხაც, რომელზეც შენ მზე და მთვარე ამოგდიოდა... მაგრამ მის ნაფუძარზე ახალი სიცოცხლეა აღმოცენებული და ეს სიცოცხლე მოგელის შენ...

შენ კი არ მოდიხარ... სადა ხარ, სად?!

გაგვეცი ხმა, ამ ჩემს წერილს მაინც უპასუხე, ჩემო მეგობარო! იქნებ დაგტყუო, იქნებ გათქმევინო, მამაჩემი ხომ არ გინახავს სადმე? სად დაიკარგნენ ის ბიჭები, შენთან ერთად რომ წაიყვანეს: გრადი ჯოლოხავა, შოთა ჯოლოხავა, სილბისტრო ჯოლოხავა, დურუ, დათიკო, ბეგლარ ღვინჭილიები, გერასიმე და თეოფანე აბრალავები, გუჯუჯი შანავა, კოლია კალანდია, ვალიკო შეროზია და კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი!

ვამცირებ წერილს, მეტი რა მოგწერო? ალბათ გიკვირს, ვინა ვარ, ასე თამამად და შინაურულად რომ გეძახი „ბიჭო" მეთქი. ეს ბუნებრივია, — უცნობები ერთმანეთს ასე არ მიმართავენ, უმცროსი უფროსს ასე არ მიმართავს, მაგრამ ჩვენ უცნობები არა ვართ, და იცი რატომ? იმიტომ, რომ მეც შენსავით შინოსუსვლილის შვილი ვარ, იმიტომ რომ... შენ სისხლი და ხორცი ხარ ყველა ჩვენთაგანის, ხოლო შენი სურათიდან ჩემზე 5 წლით უმცროსი ბიჭის სევდიანი თვალები მიყურებს. შენ ხომ 22 წლისა იყავი, როცა წახვედი და ასეთი ახსოვხარ ყველას, ასეთს გიცნობ მეც! იცოდე, შენი წასვლის დღეს წლები შეჩერდნენ შენი მომლოდინე გულებისათვის. შენი წილი სიცოცხლე, ახალგაზრდობა, სიხარული, შრომა გელოდება აქ, ფუჭში, შენს მშობლიურ სოფელში, ჩამოდი და გაიგრძელე ის!..

ზაურ ფიფია.

ძ. ფალენჯიხა.

რაიგაზეთი.

ქართული მუსიკის დიდი მოამაგე

ანდრია ბალანჩივაძის დაბადების 60 წლისთავის გამო

საქართველოს ფართო საზოგადოებრიობამ საზეიმო ვითარებაში განსაკუთრებული გულისხმიერებითა და ღრმა პატივისცემის გრძნობით აღნიშნა გამორჩენილი ქართველი კომპოზიტორის, პედაგოგისა და უანგარო მოღვაწის ანდრია ბალანჩივაძის დაბადების 60 წლისთავი. არ არსებობს დარგი ეროვნული სამუსიკო ხელოვნებისა, შემოქმედება იქნება ეს თუ შემსრულებლობა, ნორჩი თაობის მუსიკალური აღზრდა თუ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმე, რომელშიც აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს ანდრია ბალანჩივაძეს. მისი სახით ჩვენ გვყავს დიდი, ნაღვაწი ნიჭით დაჯილდოებული მუსიკოსი-შემოქმედი, გულმართალი, პრინციპული ხელოვანი, მხურვალე პატრიოტი და მრავალმხრივ ერუდირებული სპეციალისტი.

უფროსი თაობის კომპოზიტორებს — მელიტონ ბალანჩივაძეს, ზაქარია ფალიაშვილს, დიმიტრი არაყიშვილს, ნიკო სულხანიშვილს და ვიქტორ დოლიძეს ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვით ეროვნული მუსიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. თითქმის მთელი მათი მხატვრული მემკვიდრეობა შემოიფარგლება ვოკალური ჟანრებით (სიმღერა, რომანსი, ოპერა, კანტატა და სხვ.). ეს გასაგებიც არის, რადგან იმ დროს, როდესაც ამ კომპოზიტორებმა პირველი ნაბიჯები გადადგეს მუსიკალურ-შემოქმედებით სარბიელზე, მეფის რუსეთის უღელქვეშ მგმინავ ქართველ ხალხს სწორედ ამ სახის ნაწარმოებები ესახეროდა, რათა ჩვენს დიდებულ ენასთან მოსდენილად შერწყმული ეროვნულ მუსიკას ქართველ ხალხში გაეღვივებინა და განემტკიცებინა პატრიოტიზმის, თავისუფლებისადმი სწრაფვის გრძნობები. ეს საშვილიშვილო მისია მათ ჩინებულად შეასრულეს და მშობლიურ ერს ისეთი საამაყო ქმნილებანი შესძინეს, როგორიც არის მარად უკვდავი ოპერები — „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“ ზ. ფალიაშვილისა, „დარეჯან ცბიერი“ მ. ბალანჩივაძისა, „ქეთო და კოტე“ ვ. დოლიძისა, ნ. სულხანიშვილის საგუნდო პიესები, დ. არაყიშვილის კლასიკური რომანსები და სხვ.

მაგრამ დრო მიდიოდა. საგრძნობი ჩამორჩენა, რასაც ადგილი ჰქონდა ეროვნული მუსიკის სხვა დარგებში, აუტანელი ხდებოდა. ჩვენდა საბედნიეროდ და სასიხარულოდ, უფროსი თაობის კომპოზიტორებს გასული 20-იანი წლების დამლევიდან გვერდში ამოუდგა ნიჭიერ ქართველ კომპოზიტორთა ახალგაზრდა თაობა, რომელსაც უმაღლესი მუსიკალური განათლება თბილისის და ლენინგრადის კონსერვატორიებში ჰქონდა მიღებული. ერთი მათგანია ანდრია მელიტონის ძე ბალანჩივაძე, რომელმაც 1931 წელს დაამთავრა ლენინგრადის კონსერვატორია კომპოზიტორის და პიანისტის სპეციალობით. ამ წლიდან მოყოლებული, სამშობლოში დაბრუნებისას, ა. ბალანჩივაძე ეწევა მრავალმხრივ და ნაყოფიერ მოღვაწეობას, თანამშრომლობს სახელგანთქმულ რეჟისორებთან — კოტე მარჯანიშვილთან და სანდრო ახმეტელთან მათი დადგმების მუსიკალურად გამფორმებლად. ასეთსავე მუშაობას ეწევა იგი ცნობილ კინორეჟისორ მიხეილ ჭიაურელთან (მუსიკა კინოსურათებისათვის: „დავით გურამიშვილი“, „გიორგი სააკაძე“ და სხვ.) 1935 წელს იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის კონსერვატორიაში როგორც კომპოზიციის კლასის ხელმძღვანელი და საკომპოზიტორო კათედრის გამგე. პროფესორ ბალანჩივაძის აღზრდილებია დიდი უმრავლესობა თანამედროვე ახალგაზრდა კომპოზიტორებისა (რ. ლაღიძე, შ. მილორავა, ა. ჩიმაკაძე, ა. შავერზაშვილი, ნ. მამისაშვილი, ბ. კვერნაძე და სხვ.). 1941-48 წლებში ანდრია იყო საქართველოს სიმფონიური ორკესტრის ხელმძღვანელი, ხოლო წელთა მანძილზე (1953-1961) საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარე.

ანდრია ბალანჩივაძე გვევლინება მთელი რიგი მუსიკალური ჟანრების ფუძემდებლად ქართულ მუსიკაში. მის სახელთან არის დაკავშირებული ეროვნული ბალეტის ჩამოყალიბება. მხედველობაში მაქვს მისი გმირულ-რომანტიკული ბალეტი „მთების გული“, გარდა თბილისისა დიდი წარმატებით დადგმული საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში (მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, ხარკოვი, სარატოვი, ტაშკენტი, აშხაბადი და სხვ.). ჩვენი თანამედროვეობის ერთ-ერთმა უდიდესმა კომპოზიტორმა დიდი ბრიტანეთ შოსტაკოვიჩმა გაზეთ „სოვეტსკოე ისკუსსტვოს“ ფურცლებზე (1938 წ. 30 ივლისი) ასეთი შეფასება მისცა „მთების გულს“: „მუსიკის თვალსაჩინო თვისებები მიუჩენენ პირველ ადგილს ბოლო წლებში შექმნილ საბჭოთა ბალეტებს შორის. ლირიკული მუსიკა, რომელიც გვიხატავს მანიჭეს და ჯარჯის სიყვარულს, გვაოცებს თავისი მოხდენილობით და კეთილშობილებით“ და ა. შ. მართლაც, ბალანჩივაძის ამ ბალეტში კლასიკური ბალეტის ტრადიციები განსაცვიფრებელი ბუნებრიობით შერწყმულ-შეზავებულია მდიდარი ქართული ხალხური ცეკვების არსთან, მათ თვითმყოფად თავისებურებებთან. ამ ნაწარმოებით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ქართულ საბალეტო ხელოვნებას.

ავიღოთ მეორე, ფრიად მნიშვნელოვანი დარგი მუსიკისა — სიმფონია. ამ მხრივაც ანდრია ბალანჩივაძე გვევლინება ფუძემდებლად, მიუხედავად იმისა, რომ მის პირველ სიმფონიამდე უკვე შექმნილი იყო ამ ჟანრის ნაწარმოებები. საქმე ის არის, რომ ბალანჩივაძემ თავისი ორი სიმფონიით საგრძნობლად გაამდიდრა ქართული მუსიკის ეს დარგი იღეურად, შინაარსობრივად, ბევრი რამ ახალი, ნოვატორული შეიტანა სიმფონიის სტრუქტურაში, მუსიკალურ ენაში და ეროვნული ინსტრუმენტული მუსიკა მსოფლიო მუსიკალურ ასპარეზზე გამოიყვანა.

ა. ბალანჩივაძე პირველი შეეხო ინსტრუმენტულ, კერძოდ საფორტეპიანო კონცერტს. ამ დარგში მას შექმნილი აქვს სამი ნაწარმოები (მათ შორის მეორე კონცერტმა, ისევე როგორც პირველმა სიმფონიამ, სახელმწიფო პრემია დაიმსახურა). მაგრამ განსაკუთრებული ინტერესის შემცველია მესამე საფორტეპიანო კონცერტი სიმებიანი ორკესტრის თანხლებით, დაწერილი ნორჩი პიანისტების მიერ შესასრულებლად. მხოლოდ სპეტაკი გულის მქონე ხელოვანს, როგორიც ჩვენი ანდრიაა, შეეძლო შექმნა ბავშვის სამყაროს ამსახველი ასეთი ნაწარმოები. ვფიქრობ, ბევრი რამის მეტყველია ის ფაქტი, რომ ბალანჩივაძის ეს კონცერტი მეთერთმეტედ გამოიცემა საბჭოთა კავშირში — იმდენად დიდია მისი პოპულარობა!

მარად უჭკნობ სურნელოვან ყვავილებს მოგვაგონებენ მისი სიმფონიური მინიატურები — პეიზაჟური მუსიკის ეს ბრწყინვალე ნიმუშები. მათ შორის აღსანიშნავია: „რიწის ტბა“, „თბილისის ზღვა“, „დნეპრი“ და ა. შ. აღსანიშნავია აგრეთვე მისი გმირული სიმფონიური სურათი „კრწანისის ბრძოლა“. დიდი რაოდენობით აქვს მას შექმნილი ცალფა და საგუნდო სიმღერები. მისი ბალეტი „წარსულის სურათები“ იდგმება მოსკოვის დიდი თეატრის სცენაზე. ახალი მუსიკალური ენით ამეტყველებულია უკანასკნელ დროს შექმნილი ბალეტი „მწირი“. ბალანჩივაძის კამერული საფორტეპიანო პიესები „სამაია“, ნოქტიურნი, ბალადა, ცეკვა, ელეგია და სხვა მტკიცედ არის შესული საბჭოთა პიანისტების რეპერტუარში.

ანდრია ბალანჩივაძეს მხურვალედ უყვარს თავისი ქვეყანა. იგი ტკბება მშობლიური ბუნების სამოთხისებური სილამაზით, იცნობს და დიდად აფასებს ქართველი ერის ჯანსაღ, კეთილშობილურ ტრადიციებს, მის ნიჭიერებას, ამაყობს მისი შემოქმედებითი პოტენციის უშრეტი ძალით. ბალანჩივაძის, როგორც კომპოზიტორის, ურყევი პრინციპულობა იმაშია, რომ იგი, ბუნებით ლირიკოსი, ქმნის მუსიკალურ სახეებს, გამთბარს თავისი გულის სითბოთი, ჭეშმარიტი ადამიანურობით და კაცთმოყვარეობით. იგი არავის არაფერს არ უმტკიცებს. იგი მხოლოდ მოუთხრობს მსმენელს იმას, რაც მას განუცდია, რაზედაც ფიქრით მას ღამეები უთენებია. მას არა აქვს შიში მომავალ თაობათა პირუთვნელი შეფასებისა და მსჯავრდადებისა თავისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის მიმართ, ვინაიდან იგი ყოველთვის, ყოველგვარი ზეაწეულობისა და პათეტიურობის გარეშე ამბობდა იმას, რასაც იგი გრძნობდა და გრძნობს დღესაც.

მელიტონ ბალანჩივაძის ქართული მუსიკის ამ პატრიარქის ოჯახში მეორე ვაჟიც აღიზარდა — გიორგი ბალანჩივაძე, დღეს საყოველთაოდ ცნობილი ამერიკელი ბალეტმაისტერი ჯორჯ ბალანჩინი. ეს უდავოდ საამაყოა როგორც ბალანჩივაძის ოჯახის, ისე, საზოგადოდ, ჩვენი ქვეყნისთვისაც. მაგრამ მე მაინც გავკადნიერდები და, ყოველგვარი პარალელებისა და შედარებებისათვის მიუმართავად, ვაღიარებ, რომ სხვის ბუდეში ოქროს კვერცხის მდებელ დედაღს — ჩვენს ბუდეში ჩვეულებრივი, სრულფასოვანი კვერცხის მდებელი ქოჩორა მირჩევნია!

არაფერი დამრჩენია იმის გარდა, რომ მრავალრიცხოვან მოლოცვებს, ბედნიერების, ჯანმრთელობისა და შემდგომი წარმატებების სურვილებს, რაც ესოდენ უხვად და მთელი გულწრფელობით გაისმოდა ანდრია ბალანჩივაძის საიუბილეო საღამოზე, ჩვენი საუკეთესო სურვილებიც შევუერთოთ. ამას იგი იმსახურებს, როგორც ნიჭიერი ხელოვანი, დიდი მოქალაქე და ღვაწლმოსილი ხელოვანი.

პავლე გუჯუა.

მათი სახელით ამაყობს ჩვენი მეცნიერება

სიცოცხლე — მედიცინის სამსახურში

პირველმა დისერტაციამ, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე იყო დაცული, ბრწყინვალედ ჩაიარა. დისერტანტს — თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის თერაპიული კლინიკის უფროს ასისტენტს მიხეილ დროთეს-ძე წინამძღვრიშვილს ერთხმად მიენიჭა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. ასე გაჩნდა ახალი „ვარსკვლავი“ ქართული მეცნიერების „ცის კაბადონზე“.

დიდი იყო პატარა სურამელი ბიჭის გზა მეცნიერებაში: სწავლის წლები სურამის დაწყებით სკოლაში, სასულიერო სასწავლებელი გორში, თბილისის სასულიერო სემინარია და, ბოლოს, ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. აქ ნიჭიერ სტუდენტს ყურადღება მიაქცია და თავის კლინიკაში მიიღო იმ დროის თვალსაჩინო მეცნიერმა, პროფესორმა კ. ნ. გეორგიევსკიმ. ახალგაზრდა მედიკმა სავსებით გაამართლა თავისი პირველი მეცნიერი ხელმძღვანელის იმედი. მან პირველსავე წლებში დაწერა ოთხი მონოგრაფია ტუბერკულოზის, გულის განვითარების ანომალიის, გულსისხლძარღვების დაავადებათა, ნივთიერებათა ცვლის დაავადების მკურნალობის საკითხებზე. ამ შრომებში გამოვლინდა მკვლევარის დიდი ნიჭი. გეორგიევსკის რჩევით წინამძღვრიშვილმა დაიწყო მუშაობა დისერტაციაზე — გულისისხლძარღვების სისტემის კვლევის ერთ-ერთი მეთოდის შესწავლაზე.

დისერტაციის დაცვის რამდენიმე წლის შემდეგ მ. წინამძღვრიშვილი გახდა პროფესორი, ხოლო შემდეგ თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ჰოსპიტალური თერაპიის კათედრის გამგე, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა სიცოცხლის ბოლომდე. არც ერთი დღით არ შეუწყვეტია მეცნიერის კვლევა. უმაგალითო შრომისმოყვარეობითა და შეუპოვრობით ცდილობდა ამოეხსნა მრავალი დაავადების საიდუმლოება, გამოენახა მათთან ბრძოლის გზები. ორი წლის განმავლობაში, უკვე მომწიფებული მეცნიერი წინამძღვრიშვილი სრულყოფს თავის ცოდნას საზღვარგარეთ. ფართოა მისი ინტერესების წრე. ბერლინში, ვენაში, პარიზში იგი მუშაობს ფუნქციონალური დიაგნოსტიკისა და კლინიკური რენტგენოლოგიის საკითხებზე.

ოთხმოცზე მეტი მეცნიერული შრომა დაწერა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა მ. დ. წინამძღვრიშვილმა. მრავალი წლის განმავლობაში იგი სწავლობდა გულისა და სისხლძარღვების სხვადასხვა დაავადებას, აზუსტებდა მათ დიაგნოსტიკას. სპეციალისტთა დიდი ინტერესი გამოიწვია სხვადასხვა ფორმის ჰიპერტონიულ დაავადებაზე მისი დაკვირვების შედეგებმა. უდიდესი კლინიკური გამოცდილება საშუალებას აძლევდა ქართველ მედიკს შეედგინა ჰიპერტონიული დაავადების კლასიფიკაცია, შეექმნა აგრეთვე მიოკარდის დაავადებათა ახალი სამუშაო კლასიფიკაცია.

დიდი ძალ-ღონე და ენერგია მოახმარა მეცნიერმა პედაგოგიურ მუშაობას, ეჭიმთა კადრების მომზადებას.

ათეული წლების განმავლობაში ატარებდა ი. წინამძღვრიშვილი გულში იდეას შეექმნა მსხვილი სამეცნიერო ცენტრი, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა გულით დაავადების ყოველმხრივ შესწავლა. და 1941 წელს ახდა მეცნიერის ოცნება — თბილისში შეიქმნა კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის ინსტიტუტი, რომელიც დღეს თავისი დამაარსებლის სახელს ატარებს. ბევრი რამ გააკეთა მ. წინამძღვრიშვილმა ენერგიული, ნიჭიერი მეცნიერების და პრაქტიკოსი ექიმების შესარჩევად, თანამედროვე აპარატურით ინსტიტუტის აღსაჭურველად. მისი ხელმძღვანელობით ინსტიტუტისა და კათედრის თანამშრომლებმა შექმნეს 200-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, დაიცვეს 30 სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.

გიორგი პაპიაშვილი

საბჭდისწერო

— **მაპატიეთ**, რომ ასე გაგტანჯეთ. მოკრძალებით წარმოთქვა დაჭრილმა მებრძოლმა და მადლიერებით სავსე თვალები მიაპყრო თავის მხსნელს. ათასეულის ექიმის თანაშემწეს ანგელინა ჩემია, — თუ ცოცხალი დავრჩი, როგორ დაგივიწყებთ, თქვენ ხომ ჩემთვის საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდეთ და სიკვდილს გადამარჩინეთ...

წვრილფერთმიან, სათნო გამომეტყველების ქალიშვილს ესიამოვნა თანამემამულის თბილი სიტყვები. ანგელინამ მებრძოლს ტყვიებითა და ნაღმის ნამსხვრევებით დაცხრილული ფარაჯა გადაახურა, შუბლზე დანამული ოფლი მოსწმინდა და ყურში საამო ნიავივით ჩასჩურჩულა:

— მაგას ნუ ამბობ, მე ჩემს მოვალეობას ვასრულებ. ესეც რომ არ იყოს, ძმები ფრონტზე მყვანან და იძათი სიყვარულით ყურადღებას როგორ დავამძლიო, — ცალ მუხლზე წამოიწია, წითელჯვრიანი ჩანთა მხარზე გაისწორა და განაგრძო: — ნუ გამცხავთ, წინა ხაზზე უნდა წავიდე. მებრძოლებს შველა სჭირდებათ. თქვენ წასაყვანად კი მალე მოვალენ. ნახვამდის, ნურაფერს ინაღვლებთ, სამშვიდობოზე ხართ!

— გმადლობ, დაიკო, თაეს გაუფრთხილდი.

ანგელინა ფრონტის წინა ხაზზე გაემართა სხვა დაჭრილების მისაშველებლად. ხოხვით მიიწევდა წინ ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების გამოძახებული ცეცხლის ქვეშ. სულ ასორმოცდაათი მეტრიღა იქნებოდა დარჩენილი წინა ხაზამდე, რომ სიტყვასავით წამოსულმა ტყვიებმა ანგელინას ორგზის წვრე შემოხაზა. ქალიშვილი მიწას გაეკრა. ანგელინამ მოახერხა გვერდზე ხოხვით თხრილში ჩაესწრო და ამით მოსალოდნელი საფრთხე აიცილა.

იწვა თხრილში და აქ, სიკვდილის პირისპირ, ავონდებოდა საყვარელი მშობლები, ძმები, ნათესავები, ამხანაგ-მეგობრები. თვალწინ წარმოუდგნენ ძმები ბორისი და ამირანი, სამშობლოს დასაცავად რომ გაიწვიეს. გაახსენდა ამირანის სიტყვები: ამა შენ იცი, დაო, შენს ანაბარა ვტოვებთ ოჯახს. მშობლებს გაუფრთხილდი, ...უჩვენობა არ ავრძნობინოო.

მაგრამ ანგელინამ ძმის დანაბარები რომ არ შეასრულა? მან მოისურვა მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მიეღო მონაწილეობა და სამხედრო კომისარიატში მშობლების დაუკითხავად გამოცხადდა... მოაგონდა დედისა და მამის დარიგება: რახან გადაწყვიტე და მიდიხარ, იცოდე, იქ ყველანი შენი და-ძმანი არიან, შეიყვარე, გაუფრთხილდი მათ და არც ისინი დაგტოვებენ გულნაკლულსო...

ამის გახსენებაზე საოცრად მოენატრა თავისიანები, უნდოდა თუნდაც ერთი წამით ენახა სოფელი შხეფი, დედა და მამა, შეეტყო ძმების ამბავი. გაევლო ქალაქ ცხაკაიას სამედიცინო ტექნიკუმში, რომელიც მან წარჩინებით დაამთავრა 1940 წელს...

ანგელინამ ვერც კი მოასწრო ოცნების განცდა, რომ მძიმე და გულში ჩამწვდომი კვნესა შემოესმა.

...იგი სწრაფად გამოერკვა. სახეზე მრისხანება აღებეჭდა, როცა ტყვიამფრქვევები კვლავ აკაკანდა. ახლა უფრო ახლო მანძილიდან გაისმა ადამიანს განწირული კვნესა და ვედრება: „მიშველეთ! მიშველეთ!“

შხეფელი ქალიშვილი თხრილიდან ამოხტა და მარჯვნივ ხუთიოდე მეტრის დაშორებით პატარა ბორცვზე პირქვე მწოლარე ხელებგაშლილი, სისხლში მოსვრილი მეომარი შენიშნა. ანგელინა ბორცვთან მიახოხდა... მძიმედ დაჭრილი უცნობი ჯარისკაცი ბორცვის ძირას გადმოიყვანა. ისევ აკაკანდა მტრის ტყვიამფრქვევი, მაგრამ ბორცვი, რომელიც მეომრის სისხლით იყო შეღებილი, ანგელინას საშუალებას აძლევდა პირველადი დახმარება აღმოეჩინა ფრონტელი მეგობრისათვის.

ექიმის თანაშემწე ქალიშვილმა დაჭრილს ყველა იარა შეუხვია და გამბნევება დაუწყო:

— გული გაიმაგრე, ნუ გეშინია, წაგიყვან, აქ არ დაგტოვებ!


სისხლით დაცლილმა მებრძოლმა თვალიც კი ვერ გაახილა, ანგელინას ხელზე თითები მოუცაცუნა და ძლივს გასაგონად შეეკვედრა:

— არა, აქა სწერია, — თითი მიიდო შარვლის პატარა ჯიბესთან, — ვინცა ვარ... გააგებინე ჩემს მშობლებს... და უცნობმა ჯარისკაცმა მალე სული განუტევა.

ანგელინამ სასწრაფოდ ამოიღო მედალიონი, გახსნა, წაიკითხა, მერე წამოვარდა ზეზე, ორივე ხელი მაღლა აღმართა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა შეჰკივლა:

— ბორის! ჩემო ძმაო, მიშველეთ!..

— ბოლო სიტყვები ვერც კი დაასრულა, რომ ფაშისტების ტყვიით შკერდგანგმირული ანგელინა თავის საყვარელ ძმას გადაეფარა.



სურათზე: ანგელინა და ბორის ჩემიები.

მეტროს ტრასაზე... ფეხით

ყველა ჩვენგანს შეუძლია ილაპარაკოს სწრაფ ექსპრესებზე, მარმარილოს ვესტიბიულებზე, განუწყვეტლივ მოძრავ კიბეებზე — ესკალატორებზე. მაგრამ ყველაფერი ის, რაც ჩვენ ვიცით მეტროს შესახებ, ცოტაა. ჩვენ მოგვინდა გავცნობოდით თბილისის მეტროს ყოველდღიურ, ჩვეულებრივ ცხოვრებას.

...დილის რვის ნახევარზე ავტობუსმა ნისლიანი ქუჩებით წაგვიყვანა 26 კომისრის სახელობის რაიონში. ფეხით უნდა გაგვევლო მეტროპოლიტენის ახალ ხაზებზე. და თუ უურნალისტებისათვის ბეტონის ლაბირინთებში გასეირნება შეიძლებოდა სასარგებლო ექსკურსია ყოფილიყო, „თბილისგვირაბმშენის“ უფროსის ვ. გოცირიძისათვის, მთავარი ინჟინრის ბ. ფაჩულიასათვის, მართვის განყოფილებათა უფროსების ნ. ჩაჩხიანის, ა. ხუციშვილის, ვ. მამულიასათვის ეს იყო ჩვეულებრივი რეიდი, რომელსაც ისინი ყოველ დეკადაში ასრულებენ ხოლმე მეტროპოლიტენის მარშრუტებზე.

საერთოდ მიაჩნიათ, რომ გვირაბგამყვანის პროფესია — მამაკაცის პროფესიაა. და ეს აზრი კიდევ უფრო განვითმტკიცდა ამასწინანდელი გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ, რომელიც კრძალავს ქალის შრომის გამოყენებას მიწისქვეშა სამუშაოებზე. მაგრამ ინჟინერი ნათელა კოშკაძე — № 5 გვირაბის რაზმის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი ერთ-ერთია იმ რამდენიმე ქალისაგან, რომლებიც პრაქტიკულად ეხმარებიან მეტროპოლიტენს. ალბათ ამიტომ არის, რომ ისინი, ვინც პასუხს აგებს უსაფრთხოების ტექნიკისათვის, აპატიებენ მას ზოგ რამეს — მაგალითად, იმას, რომ გვირაბში დამცავი ჩაჩქანი არ ეხუროს. და თუმცა მამაკაცის სამოსს — რეზინის ჩექმებსა და ტანსაბურას ნათელა კარგად შეეჩვია, ჩაჩქანს მაინც არ იხურავს, რადგანაც იგი ვარცხნილობას უფუჭებს...

მეტროპოლიტენის ახალი ხაზების დათვალიერება დავიწყეთ „300 არაგველის“ სადგურიდან. მშენებლები თითქმის ამთავრებენ სადგურის მიწისზედა ვესტიბიულის აგებას, არავითარი ზედმეტობა — მინა, ბეტონი, ალუმინი.

...გვირაბებში ბნელა და სინესტეა. სადღაც კიდევ გამოუონავს გრუნტის წყალი — მშენებელთა № 1 მტერი. ანალიზმა ცხადყო: ლიტრ წყალში 3.000 მილიგრამი სულფატი ყოფილა. იგი ისე ჭამს ცემენტს, როგორც ჭია ხეს. მოსკოვისა და თბილისის მეტროს ვეტერანმა, სოციალისტური შრომის გმირმა ნიკოლოზ მიხეილის-ძე ესაკიამ გვიამბო, თუ რა ძნელი ბრძოლა მოუხდათ მიწისქვეშა წყაროებთან. იყენებდნენ ტორკრეტირებას, ახალი მარკების ცემენტს — წყალგაუვალ, სწრაფმყარებად ცემენტს. ბეტონი დიამორრიტლეს, მაგრამ ზოგან იგი მაინც გვახსენებს თავის თავს თბილი ნაკადულების სახით, რომლებიც რეზინის ჩექმების ქვეშ ბუყბუყებენ.

...ჩიხი. აქედან დაბრუნდებიან უკან ექსპრესები. მოქმედი ხაზებისაგან გვქონდა შეთანხმებული მონაკვეთის „ლენინის მოედანი“ — „300 არაგველი“ ორი გზა აქვს, მარჯვენა და მარცხენა გვირაბები. აქ მატარებლები შეუფერხებლად ივლიან.

მაგრამ მატარებლების მოსვლამდე გზის სიმტკიცეს ავტომობილი ცდის. ეს თბილისის მეტროპოლიტენის ერთ-ერთი სიახლეა. უკაბინო და უპორტო სატვირთო ავტომობილს მშენებლებთან მიაქვს სხვადასხვა ტვირთი — მოსაპირკეთებელი მარმარილო, ბეტონი, შპალები. ამისათვის უკანა და წინა ხიდებს დაუენებული აქვთ ვაგონეტის ბორბლები. ასეთ ავტომობილზე საჭით მართვა არავითარ როლს არ ასრულებს, მაგრამ დიმიტრი მაჭარაშვილი საჭეს ხელს ვერ უშვებს.

— მივეჩვიე, — იცინის ყოფილი „მიწიერი“ შოფერი.

დიმიტრიზე რომ იყოს დამოკიდებული, იგი სიამოვნებით მიგვიყვანდა „26 კომისრის“ სადგურამდე. მანძილი მცირეა — 850 მეტრი. ზედაპირზე იგი ერთიორად მეტია, მაგრამ ავტომობილის მარშრუტი ჯერჯერობით შეზღუდულია. ნეტავ რამდენი ხნით?

ვფიქრობთ, შუა ზაფხულისათვის ჩავაბარებთ სადგურს, — ამბობს უბნის უფროსი გენო ხარტიშვილი.

მართალია, ძნელი და საშიში სამუშაოა, მაგრამ ახალგაზრდების გამურულ სახეებს ვაკაცური ღიმილი არ ცილდება.

...კვლავ ვაგრძელებთ გზას. „გავუვიხვიეთ“ მტკვრის ქვეშ. მაგრამ ჩვენს თავზე რომ მტკვარია, ამას ვერც კი გავიგებდით, რადგანაც მდინარისაგან კლდეები და ბეტონი გვყოფს. მართვის ტექნიკური განყოფილების უფროსი ალექსანდრე ხუციშვილი ფარანს ანათებს — სიბნელეში ლიანდაგი გამოჩნდა. წინ არის სადგური „ლენინის მოედანი“.

ბაქანზე ისე ბევრი ხალხია, თითქოს ქალაქის ვოგზალში ვიყოთ. მხოლოდ ელმავლების ხმაურის ნაცვლად აქ გვესმის აფეთქებათა ექო. მექანიზებული ფარისაკენ გვირაბგამყვანები მოდიან.

სადგურში ჩვეულებრივი დაძაბული რიტმი იგრძნობა. აქ არის თავმოყრილი მეტრომშენებელთა მთავარი დამკვრელური ძალები. ისინი აბეტონებენ, აბათქაშებენ, ამონტაჟებენ ენერგოკვანძებს. ყველაფერი გაანგარიშებული, გაზომილია...

სადგური „ლენინის მოედანი“ ზომით მეტროს ყველა სხვა უბანს აღემატება. მისი მიწისქვეშა ვესტიბიული თითქმის ერთიორად მეტია სადგურ „რუსთაველის მოედნის“ ვესტიბიულზე. მეტროპოლიტენის მთავარი სადგური ყველაზე ლამაზი და კეთილმოწყობილი იქნება. ამაში მალე დარწმუნდებიან თბილისელები. ნოემბრისათვის მეტროს მეორე უბანი — სამივე დასახელებული სადგური მგზავრებს მიიღებს.

მივდივართ რუსთაველის მოედნისაკენ. გადასასვლელით მივედით სასტუმრო „ივერიასთან“. ლითონის კარს იქით მეტროს მოქმედი ხაზია, წინ და უკან დაჭრიან მატარებლები, მაგრამ უკვე ჩვენი წამოსვლის დროც დადგა.

მეტროშენებლებს ვემშვიდობებით და ვსხდებით ლიფტში.

ი. გოცირელი.

აღმოჩენილია ახალი ვარსკვლავი



ზემახალი ვარსკვლავი აღმოაჩინა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომელმა ანზორ ჭუაძემ.

— ეს ახალგაზრდა მეცნიერის საყურადღებო მიღწევაა, — თქვა გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტთან საუბარში აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა მშმენი ხარაძემ. — ზეახალი ვარსკვლავი წარმოადგენს ციურ სხეულს, სადაც ფიზიკური მოვლენები უაღრესად მძაფრად მიმდინარეობს...

ანზორ ჭუაძის აღმოჩენას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ასტრონომი-მეცნიერებისათვის, რომლებიც ციური სხეულების ბუნებასა და წარმოშობას სწავლობენ.

სურათზე: ანზორ ჭუაძე აბასთუმნის ობსერვატორიის ეზოში.

რუსთავ-ქალაქი

რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში სამი ფოტოსურათია. ერთერთ მათგანზე მოჩანს ტრიალი ველი, მეორეზე — კარავთა ქალაქი, ჯუბაჩიანი და ფარაჯიანი ხალხი, მესამეზე — პროსპექტები და ქუჩები მრავალსართულიანი სახლებით.

ეს ფოტოსურათები რუსთავის ისტორიაა: როგორი იყო, და როგორი გახდა...

დღეს რუსთავი საქართველოს ერთერთი ინდუსტრიული ცენტრია. იქ, სადაც ოდესღაც ვაციწვერა შრიალებდა, აშენდა ქარხნები და კომბინატები, მწვანეში ჩაფლული პროსპექტები. 30-მდე საწარმო აშენდა ამ წლების მანძილზე რუსთავში: ქიმიური ბოჭკოს ქარხანა და რკინა-ბეტონის ნაკეთობათა კომბინატი, საშენ მასალათა კომბინატი და ამწესაშენებელი ქარხანა, ცემენტის ქარხანა და დიდპანელიანი სახლთსაშენებელი კომბინატი, მექანიკური ქარხანა და ქარხანა „ელექტროსამაგრი“... ასი ათასამდე კაცი ცხოვრობს რუსთავში. აქ აშენდა 800 ათასამდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ქალაქში 27 სკოლაა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფილიალი, ქიმიურ-მეტალურგიული ტექნიკუმი, არის სტადიონი და საცურაო აუზი, ათობით სამედიცინო და კომუნალური დაწესებულება.... ასეთია რუსთავი დღეს.

რუსთავის ინდუსტრიამ გადააჭარბა ბევრი კაპიტალისტური ქვეყნის სამრეწველო წარმოებას. საკმარისია ითქვას, რომ თუჯის, ფოლადისა და ნაგლინის წარმოებით ერთ სულ მოსახლეზე საქართველომ გაუსწრო ისეთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, როგორიცაა შვეცია, იტალია, ესპანეთი, იაპონია, ფინეთი, თურქეთი, ნორვეგია და სხვები. მსოფლიოს 35 ქვეყანას ეგზავნება რუსთავის მარკიანი პროდუქცია. ეს არის მილები და ფოლადის ფურცელი, მავთული და ამწეები, ცემენტი და ცხავები, წიდაბამბა და მინერალური სასუქები. რუსთავში გამოცდილების შესაძენად ჩამოდიან სპეციალისტები ბევრი ქვეყნიდან. აქ დაოსტატდნენ ჩეხოსლოვაკიელი და პოლონელი, რუმინელი და უნგრელი, კუბელი და კორეელი, ინდოელი და ვიეტნამელი, მონღოლი და იემენელი მეტალურგები, ქიმიკოსები და მშენებლები.

მერე და როგორ ადამიანებს შეხვდებით რუსთავში? მაგალითად, არსენ წიკლაური მემონტაჟე კალატოზთა ბრიგადირია. იგი 1944 წელს ჩამოვიდა რუსთავში სოფლიდან, არავითარი სპეციალობა არ ჰქონია. ახლა? ხუროთ. კალატოზი, მემონტაჟე. კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელია... სპეციალური საშუალო განათლებაც მიიღო.

რიგითი მშენებელი იყო აბესალომ გოგატიშვილი, ახლა კი დიდპანელიანი სახლთსაშენებელი კომბინატის დირექტორია. მონტიორი ისაკ მაისურაძე ქალაქის ენერგომომარაგების კანტორის უფროსი გახდა. მტვირთავი და სპეციალიზებული სამშენებლო სამმართველოს უფროსის მოადგილემდე გზა განვლო ვახტანგ გონიამ.

ასეთი მაგალითი ბევრია. ქალაქში ცხოვრობენ ლენინური პრემიის ლაურეატები, სოციალისტური შრომის გმირები და ორდენოსნები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, მეცნიერებათა კანდიდატები.

ლამაზია დღეს რუსთავი, მაგრამ კიდევ უფრო უკეთესი იქნება ხვალ. ხუთწლედის განმავლობაში აქ გათვალისწინებულია აშენდეს ისეთი დიდმნიშვნელოვანი სამრეწველო ობიექტები, როგორიც არის ქიმიური რეაქტივების ქარხნის, სამსხმელო, ლითონკონსტრუქციების, ნაცარსილიკატური საშენი მასალებისა და სადურგლო ნაკეთობის ალაოსა და სხვა ქარხნების პირველი რიგი. რეკონსტრუირებული იქნება მოქმედი საწარმოები. მწყობრში ჩადგება 200 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ახალი კულტურული, სამედიცინო დაწესებულებანი და სასწავლებლები.

ო. ნებიერიძე.

აფხაზური გარიტი

გუნება დიდხანს ინახავდა აფხაზეთის მთებში ძვირფას განძს — ბარიტის უდიდეს მარაგს. იგი დაფარული იყო ადამიანის თვალისაგან ძნელად მისაწვდომ ადგილებში გუდაუთის მახლობლად.

ნახევარი გზა ამ საბადოსაკენ შეიძლება გაიარო ავტომანქანით, შემდეგ კი მთების სიღრმეში მიდის ვიწრო ბილიკი, რომელზეც ცხენიც კი ვერ გაივლის.


— ახლა დასასრულს უახლოვდება აფშრის ბარიტის მაღაროს მშენებლობის საპროექტო დავალების შედგენა, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს საქართველოს შახტების მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის მთავარმა ინჟინერმა მიხეილ ქებულაძემ. — მისი სიმძლავრე სამჯერ მეტი იქნება საქართველოს ბარიტის ყველა ახლანდელ მაღაროსთან შედარებით.

აფშრის საბადოს ასათვისებლად საჭიროა უწინარეს ყოვლისა კლდეში სულ ცოტა 30 კილომეტრი სიგრძის გზატკეცილის გაყვანა. გზის გაყოლებით გაიჭიმება მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი.

საბადოს რაიონში აშენდება გამამდიდრებელი ფაბრიკა, საიდანაც ბარიტი წავა ჩვენი ქვეყნის ნავთობ[illegible] რეწებში, სადაც მას იყენებენ ჭაბურღილების ბურღვისა და ექსპლოატაციის დროს, აგრეთვე ლითოფონ[illegible] რნებში მაღალხარისხოვანი საღებავების გამოსამუშავებლად, ქაღალდისა და ტექნიკური რეზინის მრეწველობის საწარმოებში.

აფხაზეთის ბარიტის საბადო მდებარეობს უძვირფასესი ჯიშების ჭერან ტყეებში. ამიტომ აქ გაჩნდება არა მარტო მაღაროელთა, არამედ ტყის-მჭრელთა დაბაც.

გათვალისწინებულია, რომ აფშრის საბადოს ექსპლოატაცია შეიძლება სულ ცოტა 35-40 წელს[illegible] და-რო უდიდესი იქნება არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირიც.



დაგეკვეთ, მოგელიან

ძმებს — **მიხეილ და ვლადიმერ კუბლაშვილებს**, დაბადებულებს ქ. ფულუკიძეში, ეძებენ დედა — ვერა ნიკოლოზის ასული დოჭვირი, დები — ჟუჟუნა და ნანული აპაკის ასული კუბლაშვილები.

ივანე რუბენის-ძე აკოფოვს, დაბადებულს 1921 წელს ქ. ახალციხეში, ეძებენ მშობლები: დედა — ასია, მამა — რუბენ აკოფოვები.

სურათებზე: მარცხნიდან — მ. კუბლაშვილი, ვ. კუბლაშვილი, ი. აკოფოვი.

სოფლის ბიბლიოთეკაში

კახეთის სოფელ იყალთოს კლუბში არის ოთახი, რომელსაც იშვიათად ნახავთ ცარიელს. წიგნის სიყვარული — აი რა იზიდავს აქ იყალთოელებს. კოლმეურნე ქალი, მინდვრიდან რომ ბრუნდება, ჭაღარა მოხუცი, ცელქი ბავშვები — ისინი მოდიან აქ, რათა წაიკითხონ გაზეთები და ჟურნალები, გამოცვალონ წიგნი, ანდა ისაუბრონ.

დიდი ენთუზიაზმი ჩააქსოვა თავის მუშაობაში ბიბლიოთეკის გამგემ ნ. ბერძენიშვილმა. საქმის სიყვარულმა, მაღალმა კულტურამ იგი გახადა ამ სოფლის თითოეული ოჯახის მეგობარი. დღეს იყალთოს მცხოვრებთა მესამედი ბიბლიოთეკის მუდმივი აბონენტია. ბიბლიოთეკას ბევრი თაჯამეწყვ ჰყავს ბავშვებში, რომლებმაც შექმნეს ნორჩი მკითხველის კუთხე, წესრიგზე მოიყვანეს კარადტკა, გამოუშვეს გაზეთი „მკითხველის ხმა“. წიგნის მეგობართა წრეში პიონერები და მოსწავლეები სწავლობენ წიგნის რესტავრაციას.

გარდა თავისი ძირითადი ფუნქციისა, იყალთოელთა ბიბლიოთეკა მოუთხრობს მკითხველს სოფლის ისტორიას, აქტიურად უჭერს მხარს სიახლეთა დანერგვას სოფლის მეურნეობაში, აცნობს მკითხველს ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ მომხდარ ამბებს. სამკითხველო დარბაზის კედლებზეა სტენდები, სქემები, დიაგრამები. ფოტოკუთხე მოგვითხრობს იყალთოს უხუცეს მცხოვრებლებზე, ორდენოსან სოფლელებზე, საბჭოთა კოსმონავტებზე. საინტერესოდ არის გაფორმებული ალბომი „წერილები ომიდან“. თემატური ჯაჭვები რჩევას იძლევიან, რა წაიკითხოს მევენახემ, მესიმინდემ. ცალკეული მასალები აშუქებენ შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის სახალხო უნივერსიტეტის საქმიანობას.

გამოიწერეთ საქართველოს

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ხელს აწერია: ხელმოწერილია დასაბეჭდად 1957 წლის 27 ივნისს.

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.